ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4537837

ნომერი: AR1682960

თარიღი : 22.05.2019

გაცემის თარიღი : 10.06.2019

გაცნობის თარიღი : 24.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I და II მ/რ-ებს შორის (ნაკვეთი N16/44));

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მერმანიშვილი პ/ნ 01023005641
- თბილისი სანზონა კორ. 18ვ ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1682960 განცხადებაზე № 4520518 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი; .ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - ამ ველში უნდა ატვირთოთ მხოლოდ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღებული დღეის მდგომარეობით.

2. არსებულ ფოტოზე და ფოტომონტაჟზე კონტურის სახით მონიშნეთ საპროექტო არეალი. ვინაიდან საპროექტო არეალში სხვა სარეკლამო აბრებიც არის განთავსებული, იმისათვის, რომ გადამოწმდეს სწორად არის თუ არა დაანგარიშებული პროცენტულობა, საჭიროა ყველა არსებულ აბრებზე მიუთითოთ გაბარიტული ზომები.

3. განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს ფითქიორვზ, წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდა ამისა, 2018 წლის 31 აგვისტოს მინდობილობა გაცემულია, როგორც შპს ფითქიორვზის პარტნიორის მიერ და არა როგორც დირექტორის მიერ, აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს „ფითქიორვზის “ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული განმცხადებლის უფლებამოსიების დამადასტურებელი დოკუმენტი მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ასევე, წარმოდგენილ იქნეს მეიჯარის თანხმობაში მითითებული დანართები (საჭიროა დგინდებოდეს, რომ სწორედ თანხმობის დანართები იქნება წარმოდგენილი). გარდა ამისა, ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერში ასევე ფიქსირდება სხვა პირთა სარგებლობებიც, იმ შემთხვევაში თუ ეხება დაგემილი სამუშაოებით მათ ფართებს, საჭირო იქნება წარმოადგინოთ თანხმობები, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.